საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდის წესი

წესში ცვლილება განხორციელდა უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ
2023 წლის 29 აგვისტოს (ოქმი N16, N4 დადგენილება)

1) სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში წლიური სწავლის საფასურია ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში - 2 250 ლარი, დოქტორანტურაში - 1000 ლარი.
2) სტუდენტი, რომელსაც მოპოვებული აქვს სახელმწიფო სასწავლო გრანტი, იხდის სხვაობას სწავლის საფასურის დადგენილ ოდენობასა და მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო გრანტს შორის.
3) ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში სწავლის საფასურის გადასახადის დაფარვა შესაძლებელია:
   - ერთიანად/სრული სასწავლო წლის (**2250** ლ.)[1]
   - სემესტრულად (**1125** ლ.)
   - სემესტრში ორ ეტაპად (**562.5** ლ.)
   - ბაკალავრიატის საფეხურის I კურსის სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადასახადის დაფარვა შესაძლებელია ერთიანად (**2250** ლ.) ან სემესტრულად (**1125** ლ.)
4) დოქტორანტურაში სწავლის საფასურის გადასახადის დაფარვა, ასევე შესაძლებელია:
   - ერთიანად/სრული სასწავლო წლის (**1000** ლ.)
   - სემესტრულად (**500** ლ.)
   - სემესტრში ორ ეტაპად (**250** ლ.)
5) სემესტრულად სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში, სტუდენტი შესაბამისი (საშემოდგომო/საგაზაფხულო) სემესტრის სწავლის საფასურს (BA,MA-1125ლ./PhD- 500 ლ.) იხდის იმ სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს.

[1] თუ სტუდენტმა სასწავლო წლის დასაწყისში სწავლის საფასური გადაიხადა ერთიანად (2250 ლ.), ხოლო საგაზაფხულო სემესტრში მან მოიპოვა შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსება მაღალი აკადემიური მოსწრებით, ამ შემთხვევაში, მის მიერ გადახდილი საგაზაფხულო სემესტრის სწავლის საფასური (1125 ლ.) დაუბრუნდება.

6) სემესტრში ორ ეტაპად სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია სწავლის საფასური გადაიხადოს შემდეგი გრაფიკით:

- საშემოდგომო სემესტრის გადასახადის პირველი ნაწილი (BA,MA-562.5ლ./PhD-250 ლ.) - სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს;
- საშემოდგომო სემესტრის გადასახადის მეორე ნაწილი (BA,MA-562.5 ლ./ PhD-250 ლ.) - 1 ნოემბრამდე;
- საგაზაფხული სემესტრის გადასახადის პრველი ნაწილი (BA,MA-562.5ლ./PhD-250 ლ.) - სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დროს;
- საგაზაფხული სემესტრის გადასახადის მეორე ნაწილი (BA,MA-562.5ლ./ PhD-250 ლ.) – 1 აპრილამდე.

7) სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით ყველა განსაკუთრებულ შემთხვევას (მაგ., სწავლის საფასურის გადანაწილებას განსხავებული გრაფიკით) განიხილავს ფაკულტეტის საბჭო, რომელსაც სტუდენტი მიმართავს ახსნა- განმარტებითი ბარათით სწავლის დაწყებამდე ორი კვირით ადრე. ჯანმრთელობის მდგომარეობის პრობლემის შემთხვევაში სტუდენტი დამატებით წარმოადგენს დამადასტურებელ სამედიცინო დოკუმენტებს. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით, საკითხი განსახილველად გადაეცემა ადმინისტრაციის ხელმძღვანელს.

8) სტუდენტის მიერ სწავლის საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მას არ მიეცემა საშუალება დარეგისტრირდეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებზე და არ დაიშვება შუალედურ/დამამთავრებელ გამოცდებზე.

9) აკადემიური დავალიანების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს ხელახლა გაიაროს იგივე სასწავლო კურსი, შესაბამისი კრედიტების რაოდენობის საფასურის გადახდის შემდეგ.

10) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, დამატებითი სემესტრის ფარგლებში სასწავლო კურსის მესამედ გავლის შემთხვევაში, სტუდენტს ეკისრება სრული სემესტრული გადასახადი (1125 ლ.)

11) სწავლის/კრედიტების საფასურის გადახდა ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით შემდეგ ანგარიშზე:

სახელმწიფო ხაზინა, სახაზინო კოდი TRESGE22, ანგარიშის #7 0888 7289